ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 28 მარტის სხდომის ოქმი N 3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 28 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ინფორმაცია 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შესახებ
2. სად დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საკომპენსაციო თანხების განკარგვის შესახებ
3. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
4. აკადემიკოს რევაზ გაყრელიძისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ
5. ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების შესახებ
6. დოქტორანტების ხელმძღვანელების და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ
7. სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცების შესახებ
8. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ინფორმაცია 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ გაზაფხულის სემესტრის რეგისტრაცია უკვე დასრულდა და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. მაგალითად, ჭარბი აკადემიური საათების გადანაწილების შესახებ დეპარტამენტების მიხედვით - ელექტრონიკის დეპარტამენტის მაღალი სახელფასო კატეგორიის პროფესორების დამატებითი სავალდებულო დატვირთვა შეადგენს 4 საათს, ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორების - 2 საათს, გეოლოგიის - დაახლოებით 1.7 საათს, დანარჩენი დეპარტამენტების პროფესორების - საშუალოდ 1 საათზე ნაკლებია; მაღალ კატეგორიაში გადავიდა 31 აკადემიური პერსონალი. მან საბჭოს წევრებს გააცნო ასევე სხვა ციფრებიც (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ე.ნადარაიამ.

დაადგინეს: 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – სად დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საკომპენსაციო თანხების განკარგვის წესის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ. ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ სად დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თსუ-სთან გაფორმებული კონტრაქტი, ასევე თანხის განკარგვის წესში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართები 2). როგორც ბ-მა რ.ხომერიკმა აღნიშნა, აღნიშნული საკითხის განხილვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ინფორმირებულობა, რომ ასეთი თანხა ფაკულტეტზე არსებობს. ეს თანხა კონტრაქტის მიხედვით უნდა დაიხარჯოს სად დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებულ აქტივობებზე. შესაბამისი პროექტი მოამზადა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა, ხოლო შესწორებები შეიტანეს პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ და დ. ძიძიგურმა. დადგენილების პროექტი ითვალისწინებს შეიცვალოს ამ თანხების განკარგვის წესი ისე, რომ ამ ფინანსებით ჩვენი ფაკულტეტის სხვა მიმართულებებმაც ისარგებლონ და არა მხოლოდ უშუალოდ პროექტთან დაკავშირებულმა დეპარტამენტებმა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა. ბ-მა ა.შენგელაიამ იკითხა თანხის რაოდენობის შესახებ, რაზეც ბ-მა რ.ხომერიკმა უპასუხა, რომ თანხა გროვდება სან დიეგოს პროგრამებზე ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების სწავლის ქირის გადასახადიდან. პროფესორებმა ო.მუკბანიანმა და შ.სამსონიამ ისაუბრეს ქიმიის აუდიტორიის აღჭურვილობაზე, რომელიც SDSU-მ უნდა შეიძინოს.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რექტორს უნდა შევთავაზოთ თანხის განკარგვის წესის შეცვლა - ხელშეკრულების მიხედვით ყოველი წლის ბოლოს შეგვიძლია განახლების შეტანა.

საჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს სან-დიეგო - საქართველოს მიერ გადმორიცხული საკომპენსაციო თანხების განკარგვის წესის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის (ზსმფ) უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების VIII მუხლის თანახმად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო (SDSU-G) ახორციელებს ფაკულტეტისთვის საკომპენსაციო თანხების გადახდებს როგორც SDSU-G პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპენსაციის მხრივ, ასევე მომსახურებისა და შესყიდვების თვალსაზრისით, რითაც უკვე არაერთი აქტივობა დაფინანსდა. ამავე დროს, ვითვალისწინებთ რა აღნიშნული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებით გაწერილ ორმხრივ ვალდებულებებს, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ 2017 წელს გადმორიცხული საკომპენსაციო დაფინანსებიდან გამოიყოს თანხები: 1. ორგანული ქიმიის ლაბორატორიის დასაკომპლექტებლად ახალი მდებარეობით, რომელიც ათავისუფლებს მისთვის ტრადიციულად განკუთვნილ ფართს სან დიეგოს ქიმიის პროგრამისთვის და გადადის თსუ-ს II კორპუსის აუდიტორია 048-ში; 2. ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ წელს ამ დაფინანსებიდან გამოიყოს თანხები „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" პროგრამის ლაბორატორიის აღჭურვისთვის და 3. „კომპიუტერული მეცნიერებების" პროგრამისთვის სპეციალიზირებული კომპიუტერული კლასის დასაკომპლექტებლად (ეს

ორი პროგრამა გადის ABET აკრედიტაციას SDSU-G ვალდებულებების შესაბამისად და აშკარაა, რომ მათი თანამედროვე სტანდარტების მქონე ლაბორატორიებით/კლასებით აღჭურვა ამ მიზნის განსახორციელებლად უაღრესად საშურია).

ამასთან ერთად მიზანშეწონილად ვთვლით, რომ რადგანაც ზსმფ აღნიშნული თანამშრობლობის ჩანასახიდანვე ჩართული გახლდათ/გახლავთ ყველა შესაბამის აქტივობაში, ფაკულტეტის განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების VIII მუხლში შევიდეს შესწორება და შემდეგ წელს გადმორიცხული კომპენსაციის თანხები აისახოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, შეიცვალოს ამ თანხების განკარგვის წესი ისე, რომ ამ ფინანსებით ჩვენი ფაკულტეტის სხვა მიმართულებებმაც ისარგებლონ. აშკარაა, რომ ზსმფ-ის განვითარება მხოლოდ გააუმჯობესებს სან დიეგო - საქართველოს პროგრამების განხორციელების შესაძლებლობებსა და პროცესს.

აღნიშნული საკითხის დასმა ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან დაევალოს ფაკულტეტის დეკანს.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი 3). კერძოდ,

1) სამაგისტრო პროგრამაში "ბიოლოგია" ნეირობიოლოგიის მოდულს არჩევით საგნად მეორე სემესტრში უნდა დაემატოს ამავე სემესტრის სავალდებულო საგანი ბიოქიმიის მოდულიდან "ნეიროქიმია";

2) სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“ უნდა შევიდეს ცვლილება მიღების წინაპირობებში შემდეგი სახით:

   მე-8 პუნქტში, რომელიც ეხება სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს:

   1.6 მოდული – მიკრო და ნანოელექტრონიკა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

   (i) ფიზიკის ან ელექტრონიკის მაგისტრი ან მათთან გათანაბრებული ხარისხი;

   (ii) უცხო ენის ცოდნა თსუ–ს მიერ დადგენილ დონეზე;

   (iii) <u>ფიზიკის მაგისტრის შემთხვევაში</u> – გასაუბრება მოდულის სპეციალობაში *(მიკრო და ნანოელექტრონიკა)* ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ სექციაზე;

   <u>ელექტრონიკის მაგისტრის შემთხვევაში</u> - მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი ფიზიკაში ან დამატებითი სპეციალობის (Მინორ) ხარისხი „ფიზიკა“ –ში მინიმუმ 40 კრედიტით ზოგადი ფიზიკისა და თეორიული ფიზიკის სავალდებულო საგნებში;

   „ფიზიკა“ – ში სადოქტორო მისაღები გამოცდა (წერითი და ზეპირი კომპონენტებით);

3) ლექტორთა მოთხოვნით შეიცვალოს ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის "ფიზიკური ქიმია-4" თემების განაწილება კვირათა მიხედვით, რაც აისახება სილაბუსშიც.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა სასწავლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს (იხ. დანართი 3).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სასწავლო პროგრამებში (იხ. დანართი 3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – აკადემიკოს რევაზ გაყრელიძისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა სიტყვა გადასცა პროფესორ თამაზ თადუმაძეს. მან მოკლედ ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის მედალზე წარდგენილი გამოჩენილი მათემატიკოსის რევაზ გამყრელიძის შესახებ. იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი. რევაზ გამყრელიძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 1971 წელს დაარსა მართვის თეორიის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ აკად. რევაზ გამყრელიძის CV და ფაკულტეტის პროფესორთა სამოტივაციო წერილი (იხ. დანართი 4).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ე.ნადარაიამ, თ.დავითაშვილმა, ბ.თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე აკადემიკოს რევაზ გაყრელიძისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე აკადემიკოს რევაზ გაყრელიძისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის შოთა მირიანაშვილის განცხადება (იხ. დანართი 5), სადაც ბ-ნი შ.მირიანაშვილი ითხოვს, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა სიას, რომლებიც დანიშნული არიან 2017 წლის 19 მაისამდე, ფოტოელექტრინიკის განყოფილებაში მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე დაემატოს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯანო ბურჯანაძე (ანაზღაურების გარეშე).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ შუამდგომლობას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თსუ ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიას, რომლებიც დანიშნული არიან 2017 წლის 19 მაისამდე, ფოტოელექტრინიკის განყოფილებაში მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე დაემატოს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯანო ბურჯანაძე (ანაზღაურების გარეშე).

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – დოქტორანტების ხელმძღვანელების და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ნ.შათშვილის, კომპიუტერული მეცნიერების სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ გ.სირბილაძის, ბიოლოგის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ თ.ლეჟავას და გეოგრაფიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ დ.კერესელიძის განცხადებები

დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. განცხადებებს თან ახლავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების სხდომების ოქმები (იხ. დანართები 6).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფიზიკის, კომპიუტერული მეცნიერების, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომები სახელწოდებები და სამეცნიერო ხელმძღვანელები სადოქტორო პროგრამების მიხედვით:

<u>სადოქტორო პროგრამა „ფიზიკა“</u>

1) დოქტორანტი თორნიკე ჭაბუკიანი: სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ალექსანდრე შენგელაია, სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება – „ფოტოსტიმულირებული მეთოდით მიღებული ზეგამტარი და მაგნიტური მასალები და მათი თვისებების კვლევა“;
2) დოქტორანტი მარიამ წვერავა: სამეცნიერო ხელმძღვანელი - ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე, სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება – „გამომსხივებელი წყაროს ლოკალიზაცია“;
3) დოქტორანტი არჩილ დურგლიშვილი: მეორე ხელმძღვანელი - ცერნის (CERN) უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი დოქტორი ანა მარია ჰენრიქეს–კორეირა.

<u>სადოქტორო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“</u>

1) დოქტორანტი ნათელა ანანიაშვილი: სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „უწყვეტი და დისკრეტული ოპტიმიზაციის ზოგიერთი ალგორითმის მოდიფიკაცია მათი შინაარსობრივი და ვიზუალური ანალიზის საფუძველზე“.

<u>სადოქტორო პროგრამა „ბიოლოგია“</u>

1) დოქტორანტი ანა ხაზარაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელი - ბ.მ.დ. ნანა კოტრიკაძე, სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „მიტოქონდრიული დეფექტების შესწავლა პროსტატის სუმსივნურ ტრანსფორმაციის დროს“;
2) დოქტორანტი კახა მჭედლიშვილი: სამეცნიერო ხელმძღვანელები - ბ.მ.დ. ნუნუ მიცკევიჩი და ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი გურული; კონსულტანტი - მედიცინის დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი; სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „პროსტატის კიბოს ანტისიმსივნური პასუხის იმუნომოდულაცია დენდრიტული უჯრედების აქტივაციითა და სიმსივნე სპეციფიკური ანტიგენების ექსპრესიის გაძლიერებით თაგვის მოდელში“;
3) დოქტორანტი ქეთევან რუბანოვი: სამეცნიერო ხელმძღვანელები - ბ.მ.დ., პროფ. თეიმურაზ ლეჟავა და ბ.მ.დ. თინათინ ჯოხაძე; სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „ეპიგენეზური ცვალებადობის შესწავლა ლიმფოციტურ კულტურებში ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების დროს“;
4) დოქტორანტი ლიანა რამიშვილი: სადისერტაციო ნაშრომის ახალი სახელწოდება - „პროსტატის სიმსივნური ქსოვილისა და სისხლის უჯრედების მეტაბოლიზმის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა“;
5) დოქტორანტი ირაკლი ჯანაშია: სადისერტაციო ნაშრომის ახალი სახელწოდება - „მეთაფლე ფუტკრის - Apis melifera - რძემჟავა ბაქტერიული მიკროფლორის პრობიოტიკური პიტენციალის შესწავლა“;

6) დოქტორანტი ნატალია ბაკურაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელები - ბ.მ.დ. ნინა ჭანიშვილისა და ბ.მ.დ. ნუნუ მიცკევიჩი; სადისერტაციო ნაშრომის ახალი სახელწოდება - „Bacteroidis fragilis-ის სპეციფიკური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და შესწავლა მათი ფაგოთერაპიული პოტრენციალის დადგენის მიზნით'".

<u>სადოქტორო პროგრამა გეოგრაფია"</u>

1) დოქტორანტი სოფიო მდივან: სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. დავით კერესელიძე; სადისერტაციო ნაშრომის სათაური - „მდინარე არაგვის აუზში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის საფუძვლები";
2) დოქტორანტი დავით სვანაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელები - პროფ. დავით კერესელიძე და პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი; სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაური - „მყინვარების სივრცე-დროითი ფლუქტუაციების ანალიზი მცირე გამყინვარების შემდგომ, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გეოინფორმაციული და დისტანციური ზონდირების მეთოდების გამოყენებით";
3) დოქტორანტი რომან კუმლაძე: სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. დალი ნიკოლაიშვილი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური - ,,ეგზოდინამიკური პროცესების კარტოგრაფირების პრობლემები საქართველოს მაგალითზე";
4) დოქტორანტი ილია კალანდაძე: ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე; სადისერტაციო ნაშრომის სათაური - ,,კლიმატის ცვლილების ფონზე, შავიზღვისპირა ზოლის ნიადაგისა და წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება";
5) დოქტორანტი ლიანა ხანდოლიშვილი: სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასისტ. პროფ. გიორგი დვალაშვილი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური - „მდინარე ყვირილას აუზის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება".

7. მოისმინეს: დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა და ჯგუფური პროექტების თემები შემდეგი სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებიდან (იხ. დანართი 7):

სამაგისტრო პროგრამები: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ინფორმაციული ტექნოლოგგიები, ფიზიკა (კათედრების მიხედვით), ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია;

საბაკალავრო პროგრამები: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკა (კათედრების მიხედვით), ქიმია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დასამტკიცებლად წარმოდგენილ საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა და ჯგუფური პროექტების თემებს (იხ. დანართი 7).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა და ჯგუფური პროექტების თემები (იხ. დანართი 7).

8. მოისმინეს: მიმდინარე საკითხების შესახებ.

ა) სიტყვით გამოვიდა პროფესორი ნ.შათაშვილი. მან აღნიშნა, რომ დაახლოებით 1 თვის წინ ესაუბრა ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს და კათედრის გამგეებს. მას პრობლემურად ეჩვენება ის საკითხი, რომ მივლინებაში წასვლის დროს თანამშრომელს არ სჭირდება კათედრის გამგისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანხმობა. რადგან ამ

უკანასკნელთ ვალდებულება აკისრიათ კოორდინაცია გაუწიონ სასწავლო, სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობას მათ დაქვემდებარებულ ერთეულში, ქალბატონი ნანა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი აზრი თანამშრომლის მივლინებაში წასვლის დროს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, რ.ხომერიკმა, ა.შენგელაიამ, დ.ძიძიგურმა. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელი ასევე საქმის კურსში უნდა იყოს რა გრანტების წარდგენას აპირებენ თანამშრომლები, რათა არ მოხდეს ერთნაირი თემების წარდგენა. ამასთან დაკავშირებით პროფესორმა ნ.დორეულმა აღნიშნა, რომ ეს გარკვეულწილად შეზღუდავს პროფესორთა აკადემიურ თავისუფლებას.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროფესორ ნ.შათაშვილის წინადადებას - თანამშრომლის მივლინებაში წასვლის განცხადებაზე საჭირო იყოს კათედრის გამგისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თანამშრომლის მივლინებაში წასვლის განცხადებაზე საჭიროა კათედრის გამგისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობა.

ბ) სიტყვით გამოვიდა პროფესორი მ.ხაჩიძე. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ წარდგენილია 4 კურსი უწყვეტი განათლების ცენტრისათვის.

გ) სიტყვით გამოვიდა პროფესორი ნ.ელიზბარაშვილი. მან საბჭოს წევრებს შეახსენა თავისი ინიციატივის შესახებ - ფაკულტეტს დახმარება გაეწია მრავალშვილიანი ოჯახისთვის. ამ ინიციატივას გამოეხმაურა მხოლოდ 11 კაცი და ჯამურმა დახმარებამ 110 ლარი შეადგინა.

პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ მომავალ წელს თსუ 100 წლისთავს აღნიშნავს. ამისთვის აქტიურად ემზადებიან თსუ-ს სხვა ფაკულტეტები. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ მომზადდეს საინფორმაციო-საიუბილეო გამოცემა ფაკულტეტის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი